ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-0323178138-03
თარიღი: 27.06.2023 17:59
ვადა: 28.07.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01231783292 განცხადების თარიღი: 27.06.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

N64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-0323178138-03
27.06.2023 : 17:59
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01231783292**
თარიღი: **27/06/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გიგზავნით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართის სახით, ასევე, გიგზავნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 ივნისის №23.933.1030 განკარგულებას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ.

დანართი: 7 (შვიდი) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 23.933.1030
27 / ივნისი / 2023 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის ,,ბ.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული პირის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2023 წლის ----

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 05/10/2020, სარეგისტრაციო კოდი: 400020010.35.101.016782) და დადგენილების დანართ №1-ის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$" ქვეპუნქტი:

$დ^1$) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპროექტო არეალი შესაძლოა მოიცავდეს მეორე სარტყელსა და მესამე სარტყლის II არეალში შემავალ მიწის ნაკვეთებსაც. ამ შემთხვევაში, მესამე სარტყლის I არეალში შემავალი საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე სარტყელი და მესამე სარტყლის II არეალი უნდა მოიცავდეს მხოლოდ სარეკრეაციო სივრცეებს.

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები

თბილისის წყალსაცავის დაბინძურებისგან დაცვის მიზნით, სანიტარიული დაცვის ზონის დასადგენად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩატარდა თბილისის წყალსაცავის შემოგარენის კვლევა. აღნიშნული კვლევის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილება (შემდგომში - დადგენილება), რომლის მიხედვითაც თბილისის წყალსაცავზე გამოიყო სამი სარტყელი, ხოლო მესამე სარტყელი დაიყო ორ არეალად. თბილისის წყალსაცავის მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით თითოეული სარტყლისათვის დადგინდა მართვის სპეციალური რეჟიმი.

დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლი ითვალისწინებს მესამე სარტყელში არსებულ დასაშვებ და აკრძალულ საქმიანობებს. მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მესამე სარტყლის I არეალში ტერიტორიის განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში დასაშვებია მხოლოდ სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა. საპროექტო არეალის მინიმალური ფართობი უნდა შეადგენდეს 50 000 მ²-ს, რომლის 70% უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო სივრცეს. საპროექტო ტერიტორია შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს არაუმეტეს 10%-ისა და განაშენიანების რეგულირების გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სასმელი წყლის დაბინძურების პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული, საყოფაცხოვრებო წყალარინების (კანალიზაციის) ცენტრალურ ქსელზე დაერთების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალი მე-3 სარტყლის I არეალის გარდა მოიცავს მეორე სარტყელსა და მესამე სარტყლის II არეალში შემავალ მიწის ნაკვეთებსაც, საჭირო გახდა დამატებითი რეგულაციის დაწესება.

განსახილველი პროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო არეალი გასცდება მე-3 სარტყლის I არეალს, მეორე სარტყელი და მესამე სარტყლის II არეალი უნდა მოიცავდეს მხოლოდ სარეკრეაციო სივრცეებს, ხოლო, თავად მესამე სარტყლის I არეალში შემავალი საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება განხორციელდება წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო–ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:
დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება
პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

ვ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ტოგონიძე.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2023 წლის ----

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: <u>www.matsne.gov.ge</u>, 05/10/2020, სარეგისტრაციო კოდი: 400020010.35.101.016782) და დადგენილების დანართ №1-ის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,$д^1$“ ქვეპუნქტი:

$д^1$) ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპროექტო არეალი შესაძლოა მოიცავდეს მეორე სარტყელსა და მესამე სარტყლის II არეალში შემავალ მიწის ნაკვეთებსაც. ამ შემთხვევაში, მესამე სარტყლის I არეალში შემავალი საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე სარტყელი და მესამე სარტყლის II არეალი უნდა მოიცავდეს მხოლოდ სარეკრეაციო სივრცეებს.

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები

თბილისის წყალსაცავის დაბინძურებისგან დაცვის მიზნით, სანიტარიული დაცვის ზონის დასადგენად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩატარდა თბილისის წყალსაცავის შემოგარენის კვლევა. აღნიშნული კვლევის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილება (შემდგომში - დადგენილება), რომლის მიხედვითაც თბილისის წყალსაცავზე გამოიყო სამი სარტყელი, ხოლო მესამე სარტყელი დაიყო ორ არეალად. თბილისის წყალსაცავის მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით თითოეული სარტყლისათვის დადგინდა მართვის სპეციალური რეჟიმი.

დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლი ითვალისწინებს მესამე სარტყელში არსებულ დასაშვებ და აკრძალულ საქმიანობებს. მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მესამე სარტყლის I არეალში ტერიტორიის განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში დასაშვებია მხოლოდ სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა. საპროექტო არეალის მინიმალური ფართობი უნდა შეადგენდეს 50 000 მ²-ს, რომლის 70% უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო სივრცეს. საპროექტო ტერიტორია შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს არაუმეტეს 10%-ისა და განაშენიანების რეგულირების გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სასმელი წყლის დაბინძურების პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული, საყოფაცხოვრებო წყალარინების (კანალიზაციის) ცენტრალურ ქსელზე დაერთების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალი მე-3 სარტყლის I არეალის გარდა მოიცავს მეორე სარტყელსა და მესამე სარტყლის II არეალში შემავალ მიწის ნაკვეთებსაც, საჭირო გახდა დამატებითი რეგულაციის დაწესება.

განსახილველი პროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო არეალი გასცდება მე-3 სარტყლის I არეალს, მეორე სარტყელი და მესამე სარტყლის II არეალი უნდა მოიცავდეს მხოლოდ სარეკრეაციო სივრცეებს, ხოლო, თავად მესამე სარტყლის I არეალში შემავალი საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება განხორციელდება წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო–ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:
დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება
პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

ვ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ტოგონიძე.